ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების'') შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი'' გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>ხელშეკრულებას დაემატოს 16.1.1 , 16.1.2 და 16.1.3 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

16.1.1 ამ ხელშეკრულების და კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკს წარმოეშობა მხოლოდ უფლება (და ის არ არის ვალდებული) გასცეს კრედიტი (სრულად ან მისი ნებისმიერი ნაწილი) ან მოემსახუროს კლიენტს რომელიმე საკრედიტო პროდუქტით.

16.1.2 საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის თითოეული ტრანშის) გასაცემად საჭიროა შესაბამისი წინაპირობ(ებ)ის / მოთხოვნ(ებ)ის (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) კლიენტის მიერ შესრულება / დაკმაყოფილება.

16.1.3 წინამდებარე (16.1.1 – 16.1.2) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, ბანკს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ არ გასცეს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი / შეწყვიტოს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ნებისმიერი ტრანშის გაცემა კლიენტისთვის მიზეზის განმარტების გარეშე (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეთა შორის გაფორმებულია კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულება).